პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

18 ნოემბერი, შაბათი, 1989 წ.
№ 220 (10 139) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



ROBERT VAN DER VALLE OZOMEBS... CHOKAS

თბილისი ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირების უცვლელი მონაწილე ბელგიელი რობერ ვან დერ ვალე უახლოეს მომავალში კვლავ ჩამოვა ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში. მოსკოვის ოლიმპიური ასპარეზობის გამარჯვებულმა გამოთქვა სურვილი მიიღოს მონაწილეობა რესპუბლიკის ღია ჩემპიონატში, ქართულ ჭიდაობაში.

— სახელგანთქმულმა ფალავანმა ეს ჩვენს სპეციალისტებს აცნობა იუგოსლავიაში, სადაც ახლახან გაიმართა ძიუდოისტთა მსოფლიო ჩემპიონატი, — თქვა საქართველოს სპორტსახკომის თავმჯდომარის მოადგილემ რევაზ აიწურაძემ. — ბელგიელს სერიოზული გეგმები აქვს. იგი გაეცნო ქართული ჭიდაობის წესებსა და ასპარეზობის დებულებას, რომელიც ორიგინალურ ენაზე გამოიცა. დღეში რამდენიმე საათს გულმოდგინედ სწავლობდა ბელგრადის სპორტის სასახლის საწვრთნელ დარბაზში ჩვენი ეროვნული ჭიდაობის ცალკეულ ელემენტებს. მას კონსულტაციას უწევდა ევროპის ექს-ჩემპიონი ამირან ორგაიძე.

● ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ რუსეთში საფუძვლიანად მომდინარეობს მზადება მომავალი ტურნირისათვის...

— ძალიან გვინდა, რომ 25-26 ნოემბრისათვის დანიშნული ასპარეზობის ორგანიზაცია და სპორტული დონე უმაღლეს მოთხოვნებს აკმაყოფილებდეს. საორგანიზაციო კომიტეტმა დიდი მუშაობა გასწია საიმისოდ, რომ პროპაგანდა გაეწია ქართული ჭიდაობისა და უშუალოდ ტურნირისათვის, რომელიც პირველად გასცდება რესპუბლიკის ფარგლებს. ასპარეზობის წესები და დებულება ნათარგმნია ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე, ქართული ჭიდაობისათვის ტრადიციული მუსიკის ჩანაწერებთან ერთად იგი გაიგზავნა მრავალ ქვეყანაში. საზღვარგარეთ გავგზავნეთ, აგრეთვე, ათასი ჩოხა, ჩვენი სპეციალისტები კონსულტაციას უწევენ ყველა სპორტსმენს, ვინც გამოიჩინა ინტერესი ქართული ჭიდაობისადმი.

● უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ინტერესი დასაბუთებულია?

— ისე როგორც ქართულ ჭიდაობაში საქართველოს ღია ჩემპიონატის გამართვის იდეა. იგი დიდი ხანია მწიფდებოდა, რასაც, უწინარეს ყოვლისა, ხელს უწყობდა ქართველ მოჭიდავეთა. დიდი ავტორიტეტი მთელ მსოფლიოში. უკანასკნელ ხანს საერთაშორისო აღიარება მოიპოვეს ჩვენმა ძიუდოისტებმა, რომლებმაც ამ ორთაბრძოლაში, შექმნეს ქართული ჭიდაობის ტრადიციებზე დაფუძნებული თავიანთი სტილი, თავიანთი სკოლა. ჩვენი ფალავნების ბრწყინვალე გამოსვლამ ბელგრადის მსოფლიო ჩემპიონატზე, სადაც კობა კურტანიძემ და ამირან ტოტიკაშვილმა უძლიერესს წოდება მოიპოვეს, აკაკი კიბორძალიძე მეორე იყო და გიორგი თენაძე კი — მესამე, ეს ავტორიტეტი კიდევ უფრო გაზარდა.

● რამდენადაც ცნობილია, ქართული ჭიდაობისადმი ინტერესი პირველად ძიუდოს მამამთავრებმა გამოიჩინეს.

— უკანასკნელ წლებში იაპონელ ძიუდოისტებს, რომლებიც ძალზე ღიღხანს ითვლებოდნენ ტონის მიმცემებად, სულ უფრო უჭირთ გამარჯვებების მოპოვება საერთაშორისო ასპარეზზე. ახლა თვით იაპონელები იძულებული არიან ისწავლონ სხვებისაგან, მათ შორის ჩვენი ძიუდოისტებისგანაც. საინტერესო ფაქტი. ბელგრადის მსოფლიო ჩემპიონატზე ოთხი ქართველი ძიუდოისტის შედეგებს თუ შევაჯამებთ, ისინი რვა იაპონელ მოჭიდავეს მხოლოდ ქულით ჩამორჩნენ. სხვათა შორის, იაპონიაში აქტიურ პროპაგანდას უწევენ ქართულ ჭიდაობას, ტოკიოში შეიქმნა მისი სექცია, რომელსაც ხელმძღვანელობს ოთხგზის მსოფლიო ჩემპიონი სეიძო ფუძი. ამ სექციაში ყველა მსურველს ასწავლიან, მათ შორის პროფესიული ჭიდაობის სხვადასხვა სახეობის წარმომადგენლებსაც.

● რამდენად რეალურია თქვენი იმედი, რომ ქართული ჭიდაობა მოიპოვებს პოპულარობას სხვა ქვეყნებში?

— ოპტიმიზმით აღსავსენი ვართ. მაგრამ ეს ოპტიმიზმი უნდა განეამტკიცოთ საქმეებით, დიდი პროპაგანდისტული მუშაობით. სპორტის ეროვნული სახეობის პროპაგანდით. ჩვენ სხვა ხალხებს დავეხმარებით უკეთ გავაცნოთ საქართველო, მისი წეს-ჩვეულებები და ტრადიციები, კულტურა და ისტორია. ამ მიზნით, ვფიქრობთ, გამოვუშვათ სარეკლამო გამოცემა ქართული სპორტის ისტორიის შესახებ, კერძოდ, ჩვენში სპორტული ჭიდაობის განვითარების შესახებ. გარდა ამისა, ვაპირებთ გადავიღოთ და გა-

იხ. მე-2 გვ.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესია

17 ნოემბერს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხდომათა დარბაზში მუშაობა დაიწყო საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს მეთორმეტე სესიამ.

სესია გახსნა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ დეპუტატმა ნ. ი. ლაღიძემ.

რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამანდატო კომისიის მოხსენება გააკეთა ამ კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ დეპუტატმა თ. ი. ხაზარაძემ. მან განაცხადა, რომ 27 აგვისტოს, 10 სექტემბერსა და 1 ოქტომბერს ათ საარჩევნო ოლქში გაიმართა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნები გამოკლებულ დეპუტატთა ნაცვლად.

სამანდატო კომისიის მოხსენების შედეგად სესიამ ცნო საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს ახლად არჩეული დეპუტატების — ნ. რ. ნათაძის, მცხეთის რაიონის № 99 დიღმის საარჩევნო ოლქში, მ. გ. ფიდანიანის — ახალქალაქის რაიონის № 142 არაგვის საარჩევნო ოლქში, ა. გ. გოგელიას — თეთრი წყაროს რაიონის № 160 მანგლისის საარჩევნო ოლქში, მ. ი. მამედოვის — ბოლნისის რაიონის № 164 ქვემო ბოლნისის საარჩევნო ოლქში, ნ. ზ. ჭავჭავაძის — ყვარლის რაიონის № 219 ყვარლის საარჩევნო ოლქში, მ. მ. ჭორქაშვილის — ქალაქ წყალტუბოს № 278 მაღლაკის საარჩევნო ოლქში, ნ. პ. მგალობლიშვილის — ქალაქ ხობუმის № 359 კალინინის საარჩევნო ოლქში, დ. ა. ხახუტაიშვილის — ქობულეთის რაიონის № 411 ქობულეთის საარჩევნო ოლქში, რ. ბ. გორდეზიანის — ხელვაჩაურის რაიონის № 419 ახალშენის საარჩევნო ოლქში და მ. ა. გოხელაშვილის — ცხინვალის რაიონის № 433 ცხინვალის სახოფლო საარჩევნო ოლქში— უფლებამოსილებანი.

სიტყვა ეძლევა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს დეპუტატ ნ. ა. ჭითანავას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დავალებით მას სესიის განსახილველად შეაქვს ო. ე. ჩერქეზიას განცხადება პირადი თხოვნით საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

სესიამ დააკმაყოფილა ო. ე. ჩერქეზიას თხოვნა.

დეპუტატების ე. ნ. შენგელაიას, ნ. რ. ნათაძის თხოვნით სესიას თავისი გადაწყვეტილების შესახებ ახსნა-განმარტება მისცა ო. ე. ჩერქეზიამ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის სახელით ნ. ა. ჭითანავას შეაქვს წინადადება საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ აირჩიონ დეპუტატი გივი გრიგოლის ძე გუმბარიძე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

სესია ერთხმად იღებს გადაწყვეტილებას გ. გ. გუმბარიძე აირჩიოს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ.

სესიაზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გ. გუმბარიძე.

შემდეგ დეპუტატებმა დაამტკიცეს სესიის დღის წესრიგი და მიხი მუშაობის წესი.

მოხსენება საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებებისა და დამატებების, რესპუბლიკის სახლმწიფო დეპუტატთა და ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატების არჩევნების კანონპროექტების თაობაზე გააკეთა ამ კანონპროექტების მოსამზადებელი კომისიის თავმჯდომარემ გ. გ. გუმბარიძემ.

გუშინ დეპუტატები განიხილავდნენ დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებს. დღეს სესია მუშაობას განაგრძობს.

პირველად ფეხბურთის ოლიმპზე

● თბილისის „დინამოს“ დიდი გამარჯვება

● ტაშკენტი, 1964 წლის 18 ნოემბერი

მეხის გავარდნას ჰგავდა თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის ბრწყინვალე გამარჯვება შორეული ტაშკენტის პირთამდე სავსე სტადიონზე 1964 წლის 18 ნოემბერს...

ამ გუნდზე ამბობდნენ „დაბადებიდან“ ჩემპიონობისათვის იბრძვისო და მთელი 25 წელიწადი ვერ ახერხებს საფეხბურთო ოლიმპზე ასვლას. მართლაც და, დაწყებული 1936 წლის შემოდგომიდან, როდესაც ფაქტიურად დაიწყო ჩვენში დიდი ფეხბურთი, თბილისის დინამოელები მეტწილად საპრიზო ადგილებზე გადიოდნენ. და, რომ იტყვიან, თითო ნაბიჯი აკლდათ ჩემპიონის საპატიო წოდებამდე. არა, ჩვენი გუნდის შემადგენლობას ვერ დავემდურებით, მწვრთნელებიც საუკეთესო ბუკაევა — ჩეხოსლოვაკიელი ფრანგი ჟიულ ლიმბეკი, მოსკოველი ალექსეი სოკოლოვი, ლენინგრადელი მიხაილ ბუტუსოვი, ანდრო ჟორდანია... ისე დატოვეს მწვანე მინდორი ტყავის ბურთის დიდოსტატებმა ბორის პაიჭაძემ და გაიოზ ჯეჯელავამ, მიხეილ ბერძენიშვილმა და გრიგოლ გაგუამ, არჩილ კიკნაძემ და ბორის ფროლოვმა, ალექსანდრ დოროხოვმა და ვლადიმერ მარღანიამ, ავთანდილ ღოღობერიძემ და ავთანდილ ჭკუასელმა, ვლადიმერ ელოშვილმა, ნიაზი ძიაპშიპავამ, იბრაჰიმ სარჯველაძემ, ვიქტორ პანიუკოვმა, გიორგი ანთაძემ, რომ ვერა და ვერ „მოორგეს“ ჩემპიონის მაისური.

ხან ბრწყინვალედ აღებული სტარტის შემდეგ (12 ქულა 12 შესაძლებლიდან — იყო ასეთიც) სადღაც ჩრდილოეთის სტადიონზე (მეტწილად მოსკოვში) მოულოდნელად წავიბორძიკებდით და მერე უშოწყალოდ ვფანტავდით ძვირფას ქულებს. ან „ცენტრი“ აშკარად გვართმევდა „ოქროს“, როგორც ეს 1953 წელს იყო მოსკოვის „ტორპედოსთან“ გადამწყვეტ შეხვედრაში...

ერთი სიტყვით, წლების მანძილზე ნაწველ-ნაამაგარს, როგორც წესი, ქარს ვატანდით. ქართველ გულშემატკივრებს, შეიძლება ითქვას, მობეზრდათ კიდეც თავიანთი გუნდის გაჭიანურებული ვიცე-ჩემპიონობა (ოთხჯერ) თუ გაუთავებელი „ბრინჯაოს ხანა“ (ექვსგზის).

და აი, თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის ე. მესამე თაობამ (ნეტავ ვინ დაიჯერებდა პირველად დინამოელები ასე კარგად ითამაშებენ?!) სანატრელი დღე გაგვითენა — ოქროს შემოდგომის დაუვიწყარი ოთხშაბათი — 1964 წლის 18 ნოემბერი.

დიდი საფეხბურთო დღესასწაული მოვიდა ქართულ მიწაზე. უხაროდა დიდსა და პატარას, კაცსა თუ ქალს, გაიხარა გულმა ქართველისამა...

რთული სიტუაცია შეიქმნა 1964 წლის სეზონის ფინიშზე — ოქროსმაძიებელთა ორ გუნდს ქულათა ერთნაირი რაოდენობა (46-46) დაუგროვდა. ერთი მათგანი მოსკოვის „ტორპედო“ იყო, მეორე — თბილისის „დინამო“. ჩვენ გვახსოვს ჩემპიონატები, როდესაც გამარჯვებული ვლინდებოდა ერთი გადამწყვეტი ბურთის ხარჯზე, უფრო მეტიც — 1947 წელს ჩემპიონი მოსკოვის „დინამოსა“ და ცდკა-ს დავაში... მეასედი ბურთის უპირატესობით გაირკვა, აქ კი ფედერაციამ გადაწყვიტა გვიან შემოდგომაზე „ცხრა მთას იქეთ“ — ორივე გუნდისათვის საკმაოდ შორეულ ტაშკენტში დაენიშნა საჩემპიონო პაექრობა. „შორეული?“ გული გულობდეს და... ერთი სიტყვით, თბილისის „დინამოს“ უზბეკეთის დედაქალაქის „ფახთაქორის“ სტადიონზე თავი სულაც არ უგრძვნია სტუმრად და ეულად. ტაშკენტელი გულშემატკივრები ხომ მეტწილად საქართველოს ფეხბურთელთა მხარეზე იყვნენე. ერთ-ერთმა მათგანმა, ქვეყნის ნაკრების წევრმა კალათბურთში, ორმეტრიანმა გიგანტმა რავილია სალიმოვამ პირდაპირ გვითხრა — „დინამო“ გაიმარჯვებს ანგარიშით 2:0“. ეს ინტერვიუ სალიმოვას ფოტოსურათთან ერთად „ლელოს“ პირველმა რედაქტორმა, დიდებულმა მიხეილ კაკაბაძემ ოპერატიულად გადმოგზავნა რედაქციაში და დასტამბვამაც, ცხადია, არ დააყოვნა.

მთავარი კი მაინც სტადიონის „ქართული კედლები“ იყო.

—ამ თამაშზე თბილისიდან გაფრინდა ათასობით გულშემატკივარი — გაიხსენა ამასწინათ „აეროფლოტის“ საბილეთო სალაროების მოლარემ ჯულიეტა ფხაკაძემ, რომელიც მაშინ ამ მატჩისათვის სგანგებოდ გამოყოფილ სალაროს ემსახურებოდა — მსიამოვნებს, რომ ჩემი პატარა წვლილიც იყო ამ „საჰაერო ხიდის“ გადებაში.

ვინ არ **ეწვია ტაშკენტს.** ადგილობრივ გაზეთ „პრავდა ვოსტოკაში“ დაიბეჭდა სახუმარო დეპეშა თბილისიდან: „ტაშკენტი. სტადიონი. დაგვიჯავშნეთ ბილეთები „ტორპედოსა“ და „დინამოს“ მატჩზე. მო-

იხ. მე-3 გვ.

ეი ახლანც, 16 „ტაშკენტელი“ დინამოელი — ბრძოლაგადახდილი ფეხბურთელები და მათი მწვრთნელები ეს-ესაა დამთავრებული დაუვიწყარი მატჩის შემდეგ.

ვიხეილ ზარგარიანის ფოტო („ლელის“ ფოტოორკესტრიდან).

დღეს, საღამოს 7 საათზე, თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი მთლიანად ფეხბურთის მოყვარულთა განკარგულებაში იქნება. აქ გაიმართება თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის მიერ ტაშკენტის სტადიონზე მოსკოვის „ტორპედოსთან“ მატჩში მოპოვებული ქვეყნის ჩემპიონობის 25 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო.

ბოლო აკორდი

(წლევანდელი „კონცერტის“ ანალიზის მოთხოვნით)

ოქტომბრის მიწურულს ოჩამჩირეში გაიმართა საქართველოს ღია პირველობა ცხენოსნობის კლასიკურ სახეობაში. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში აზერბაიჯანისა და სომხეთის ცხენოსნები ხშირად ეწვევიან საქართველოს ღია ჩემპიონატებს და კარგადაც იყენებენ მათ თავიანთი ახალგაზრდა სპორტსმენების კლასიფიკაციის ასამაღლებლად, ძირითადი თუ უმცროსი ასაკის ცხენების მოსამზადებლად. ასე იყო ამ შეჯიბრებაზე, სადაც დაბრკოლებათა გადალახვასა და სამჭიდში პირადი მონაწილეობისათვის ამ ორი რესპუბლიკის საუკეთესო ცხენ-მხედრები ჩამოვიდნენ, გაგაცნობთ ჩემპიონატის შედეგებს სახეობათა მიხედვით:

გაწვრთნილობა

„ხაშუალო პრიზი №2“: I — სპორტის ოსტატი ჯუმბერ კაპანაძე (გალი, ცხენი „ჟალობნი“); II — სპორტის ოსტატი იუნონა კოჟინა (თბილისი, სპორტსახკომის საცხენოსნო ბაზა, „კარნავალსი“); III — ოსტატობის კანდიდატი გელა სურგულაძე (თბილისი, „მამბო“).

„დიდი პრიზი“: I — ჯ. კაპანაძე; II — ი. კოჟინა; III — ოსტატობის კანდიდატი ირინა კოზინა (თბილისი, „აკანიტი“).

დაბრკოლებათა გადალახვა

გახსნის პრიზი: I — ოსტატობის კანდიდატი დავით ქუჩუბერია (ოჩამჩირე, „რაპორტი“); II — სპორტის ოსტატი ოთარ ჯაფარიძე (ზუგდიდი, „ზაეზდჩიკი“); III— სპორტის ოსტატი თამაზ ჯღარკავა (ოჩამჩირე, „ფურტი“). დ. ქუჩუბერიამ და ო. ჯაფარიძემ უჯარიმოდ გაიარეს მარშრუტი (ჯაფარიძე 1 წამით ჩამორჩა გამარჯვებულს). ჯღარკავას 3 საჯარიმო ქულა ჰქონდა.

„ხაჭართველოს თასი“ (ორ გიტად): I — ო. ჯაფარიძე; II — თ. ჯღარკავა; III — ოსტატობის კანდიდატი ზვიად ანჩაბაძე (გალი, „რაზბორი“). ვეტერანმა ო. ჯაფარიძემ კვლავ დაამტკიცა თავისი კლასი, როცა მეორე გიტში უჯარიმოდ გაიარა რთული მარშრუტი (პირველში — მხოლოდ 4 საჯარიმო ქულა). ჯღარკავამ ორივე გიტში თითო ბარიერი დააზიანა (8 საჯარიმო); აღსანიშნავია 17 წლის გალელი მხედრის ზ. ანჩაბაძის წარმატებაც.

„ხაჭართველოს თასი“ (ახალგაზრდა ცხენებისათვის): 16-16 საჯარიმო ქულით I-II ადგილები დაიკავეს ოსტატობის კანდიდატმა ოთარ კოტუამ (ოჩამჩირე, „ლიფარი“) და სპორტის ოსტატმა ვალერი შელიამ (თბილისი, „გრაფიკსი“); III-IV ადგილები (20-20 საჯარიმო ქულით)—ოსტატობის კანდიდატმა როზმან ლაგვილავამ (ზუგდიდი, „კუსტიკი“) და პირველთანრიგოსანმა ლაშა შანავამ (წალენჯიხა, „პაციფისტი“).

ესტაფეტა „კარუსელი“ (სამ-სამი მხედრის მონაწილეობით): საქართველოში გამართულ სხვადასხვა პირველობებზე ხშირად ეწყობა ასპარეზობანი დაბრკოლებათა გადალახვის დღეს მივიწყებულ სახეობებში. ასეთი იყო ბარიერების ეს ესტაფეტური დაძლევაც. გაიმარჯვა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს თბილისის ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური საცხენოსნო სპორტსკოლის სამეულმა (ოსტატობის კანდიდატები ალექსანდრე ჭელიძე, გელა აფციაური და გიორგი ბანძავა — „ხორსაჟი“, „მერკური“, „სალუტი“, მწვრთნელი—ვიქტორ გოგლიძე). II იყო ზუგდიდის გუნდი, III — თბილისის ბაზის.

სამჭიდი.

ძირითადი ცხენებით: I — სპორტის ოსტატი ავაგ სამველიანი; II — ოსტატობის კანდიდატი ავეზ შაბანოვი (აზერბაიჯანი, „ზაგდა“); III — ოსტატობის კანდიდატი არაიკ შაღრამანიანი (სომხეთი, „ჩიჩისბეი“). შემდგომი ორი ადგილეც სტუმრებმა მოიპოვეს. საქართველოს წარმომადგენელთაგან უკეთესი შედეგი ჰქონდათ (VI-VII) სპორტის ოსტატებს ოთარ ნარმანიას (ოჩამჩირე, „პოდოლსკი“) და გია ჩომახიძეს (თბილისი, „ტიგრი“).

ახალგაზრდა ცხენებით: I და II ადგილები დაიკავეს თბილისის სპორტსკოლის მხედრებმა, ოსტატობის კანდიდატებმა გელა ტატანაშვილმა და ალექსანდრე ბაქრაძემ („გორჩანი“, „გესი“); III — ო. ნარმანიამ („ზვონი“).

საერთო ჩათვლაში საქართველოს ჩემპიონი გახდა ოჩამჩირის გუნდი — 467,5 ქულა (მთავარი მწვრთნელი — ო. ნარმანია); II ადგილი დაიკავა თბილისის გუნდმა (სპორტსახკომის საცხენოსნო ბაზა) — 374,5 (მთავარი მწვრთნელი — კირიაკ გაშიბაიაზოვი); III — ზუგდიდი — 348,5 (მთავარი მწვრთნელი კლიმენტი ხარებავა). ლიდერებთან სერიოზული ბრძოლა ჰქონდა თბილისის სპორტსკოლის გუნდს, IV ადგილი — 306 ქულა. შემდეგ მოდიან, გულრიფში, წალენჯიხისა და ფოთის ცხენოსნები.

* * *

საქართველოს სპორტსახკომის სახელმწიფო მწვრთნელმა საცხენოსნო სპორტში **რევაზ მანჯავიძემ** ჩვენთან საუბარში თქვა: ის წარუმატებლობა, რაც წელს საკავშირო ასპარეზობებზე ჩვენს ცხენოსნებს ახლდა, საფუძვლიან განსჯას მოითხოვს. ჩატარებული ჩემპიონატიც ამ საერთო პრობლემებთან უნდა განვიხილოთ, მაგრამ ზოგიერთი კონკრეტული სასიკეთო ნიშნის აღნიშვნაც საჭიროა. საფუძვლიანი მომზადება გვიჩვენეს ოჩამჩირის, ზუგდიდის, თბილისის სპორტსკოლის გუნდებმა. თბილისის საცხენოსნო ბაზამ საპატიო II ადგილი კი მოიპოვა, მაგრამ ამ გუნდის გამოსვლა დამაკმაყოფილებელი ვერ იქნება. ასეთი დიდი შესაძლებლობების საცხენოსნო კერის წარმატებები ლამის გაწვრთნილობის სახეობით შემოიფარგლოს. გვახარებს გალის, წალენჯიხის ახალგაზრდა სპორტსმენების ცალკეული მიღწევები, შთამბეჭდავი იყო ახალგაზრდა ცხენების სამჭიდში სპორტსკოლის გამარჯვება (მწვრთნელი — რევაზ მესტვირიშვილი). მათი მთავარი მეტოქე — ოჩამჩირის გუნდი აქაც რესპუბლიკის უძლიერესი სამჭიდ-ლებით იყო დაკომპლექტებული. მაგრამ სპორტსკოლამ პირველი ადგილი არავის დაანება.

აუცილებლად შეგვანიშნებდა ერთ-ერთ გარემოებას აღნიშვნა: ამ ჩემპიონატზე და, საერთოდ, წლევანდელ რესპუბლიკურ შეჯიბრებებზე მონაწილეობა არ მიუღიათ გუდაუთისა და გაგრის გუნდებს. არადა, ეს საცხენოსნო კლუბები როგორც ეროვნულ, ისე კლასიკურ სახეობებში ერთ-ერთი მოწინავენი არიან და ასეთი რანგის ასპარეზობებისათვის თავის არიდება საერთო საქმის ღალატია. პირდაპირ ვიტყვით — ეს პოზიცია, სხვა თუ არაფერი, აშკარად არასპორტულია. სწორედ ასეთ ტრადიციულ შეჯიბრებებს შეუძლიათ დაძაბულობის განმუტტვა, ხალხის განწყობილებისა და ფიქრის სასიკეთოდ წარმართვა. სპორტსმენები თავის სამშვიდობო მისიას არ უნდა გაუდგნენ და რაღაც სხვა „თამაშში“ ჩაბმა არ უნდა ამჯობინონ რაინდულ, ძველთაგანვე ადამიანების დამაკავშირებელ ასპარეზობას. განა პარადოქსული არაა, რომ ეროვნულ სახეობებში შარშანდელი ჩემპიონი გაგრის გუნდი წლევანდელ ანალოგიურ ჩემპიონატში (სენაკი, მაისი—ივნისი) არ მონაწილეობდა, მაგრამ კრასნოდარში, სექტემბერში, ჩატარებულ საკავშირო ცხენოსნურ ასპარეზობაზე კი წავიდა ცხენბურთისა და ისინდის საჩვენებელი თამაშების ჩასატარებლად? აუცილებელია აფხაზეთის სპორტკომიტეტმა ობიექტური და პრინციპული შეფასება მისცეს ამ გარემოებას.

ნოდარ ებრალიძე.

ჯანმრთელობა უწინარეს ყოვლისა

იოგა—ჩვენი ოჯახის მეგობარი





ამ წერილში სწორედ იოგთა ოჯახზე გვინდა გიამბოთ. არ გეგონოთ, რაღაც აღმოსავლური ფანატიზმით შეპყრობილ ხალხს გაცნობდეთ. არა, ამ ოჯახის წევრები იოგას წმინდა პრაქტიკული მიზნით იყენებენ — საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნავენ.

იოგა ოჯახში „შეიტანა“ ვასო ცუხიშვილმა. თუმცა, ჯობს თვითონ მას მოვუსმინოთ:

— ერთხელ კუს ტბაზე გავიცანი ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი ამირან თავართქილაძე. მერე გავიგე, მძიმე ავადმყოფობა ჰქონია გადატანილი და სწორედ იოგას წყალობით დამდგარა ფეხზე. დაწვრილებით შეუსწავლია აგრეთვე შელტონის, ბრეგის, ოუკერისა და კუპერის ნაშრომებიც და მათი მეთოდები საკუთარ თავზე გამოუცდია. მოკლედ, გაჯანსაღების ისეთი სპეციალისტი გამხდარა, დაეჯერებოდა, და მეც მის რჩევას მივყევი.

თვითონ მე ჭიდაობაში სპორტის ოსტატი ვიყავი და ჯანმრთელობას არ ვუჩიოდი, მხოლოდ ზედმეტი წონა მაწუხებდა. თან მაშინ იოგა ჩემთვის ახალი ხილი იყო და დამაინტერესა.

მას შემდეგ უკვე რამდენი წელია ერთად ვიკრიბებით თავართქილაძის ჯგუფის წევრები კუს ტბაზე. იოგას ვარჯიშების გარდა დავრბივართ, ვცურავთ, ზამთარშიც კი, ყინულიან წყალში, დროდადრო შიმშილის დიეტასაც ვიცავთ. მართლაც ძალიან მეგობრული ჯგუფი ვართ...

ბატონმა ვასომ ისიც გვიამბო, როგორ ცდილობდა იოგას სიკეთეში დაერწმუნებინა მამა, საჩხერის რაიონის სოფელ ჩიხის მცხოვრები, 64 წლის ანდრო ცუხიშვილი. უფროსი ცუხიშვილი, ომგამოვლილი, მრავალი ორდენითა და მედლით დაჯილდოებული, ენერგიული კაცი, ავადმყოფობამ იქამდე მიიყვანა, საწოლიდან უჭირდა წამოდგომა (უჩიოდა გულს, ჰიპერტონიას).

თავდაპირველად გაძნელდა იმაში დარწმუნება, რომ შემწვარ-მოხრაკული, რომელიც ავადმყოფისთვის მიჰქონდათ, საზიანო იყო მისთვის. გვერდით ექიმები ჰყავდა და ჩემი სრულებით არ სჯეროდა, — სიცილით გაიხსენა ვასო ცუხიშვილმა. — მერე, როგორც იქნა, დავითანხმეცოტა ვაშიმშილე, დიეტა შევურჩიე. ფეხზე რომ წამოდგა და გაიარგამოიარა, იმედი მიეცა. მერე სუნთქვითი ვარჯიში დავაწყებინე, თან დიეტას ვაგრძელებდით. მოკლედ, აშკარად გამომჯობინდა. თანდათანობით მარტივი ასანებიც ვასწავლე და სუფთა ჰაერზე სიარული ვურჩიე. მერე თვითონაც გაერკვა ყველაფერში, უკვე ათ კილომეტრს ფარავს დღეში, 15 კილოგრამი დაიკლო და თავს კარგად გრძნობს. პენსიაზე კი გავიდა, მაგრამ მაინც მუშაობს კოლმეურნეობაში...

მერე იოგამ კიდევ ერთი ცუხიშვილი „ჩაითრია“ — ვასოს ძმა გიორგი.

— კუჭ-ნაწლავის დაავადება აწუხებდა, — გვიამბობს ვასო ცუხიშვილი, — ჩემზე ნიჭიერი გამოდგა, ერთ წელიწადში აითვისა ის ასანები, რომელთა შესწავლასაც მე გაცილებით მეტი დრო მოვანდომეაი, თვითონ ნახეთ, ილეთი, რომელსაც იგი ამ სურათზე ასრულებს, ჰათჰა-იოგას ერთ-ერთი ურთულესი ასანია. ეს პატარა ბავშვები გიორგის შვილები არიან, ელემენტარულ ვარჯიშებს ვასწავლიდა ეზალისებათ და თან ჯანმრთელობასაც იკაქებენ...

— იოგა იმის გარანტიას იძლევა, რომ, ვიდრე ადამიანი იცოცხლებს, ჯანმრთელი იქნება, — თქვა ბოლოს ბატონმა ვასომ, — გარდა ამისა, იგი საკუთარი ძალების რწმენას გმატებს. რა ვიცი, რომელი ერთი გითხრათ...

* * *

სურათზე: ვასო ცუხიშვილი; ანდრო ცუხიშვილი (ზევით, მარცხნიდან მარჯვნივ); გიორგი ცუხიშვილი, თამრიკო და ნინიკო ცუხიშვილები.





რობერ ვან დერ ვალე იზომებს... ჩოხას

(დასასრული)

ვაგრძელოთ ვიდეოფილმი ქართული ჭიდაობის პირველი საერთაშორისო ტურნირის შესახებ. სამწუხაროდ, მათ, ვისზეც დამოკიდებულია ეს ჩვენს რესპუბლიკაში, ისეთი თანხა მოგვთხოვეს, რომლის გადახდა არ შეგვიძლია. ამიტომ უნდა შევახსენოთ მათ, რომ ქართული ჭიდაობის პროპაგანდა ჩვენი ეროვნული ღირსების საქმეა... ამავე დროს, მადლობა უნდა გადავუხადო რესპუბლიკის სადირექტივო ორგანოებს, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ხელმძღვანელობას, აგრეთვე ტურნირის სპონსორებს — თბილისის საწარმოო გაერთიანება „თეთრონსა“ და შულავერის მატყლის პირველადი გადამუშავების ფაბრიკას — ტურნირის ორგანიზაციაში დახმარებისა და მხარდაჭერისათვის.

● დაეხმარება ტურნირი ქართული ჭიდაობის ოფიციალურ აღიარებას?

— ეს ჩვენი მიზანია, მისი განხორციელებისათვის პირველ ნაბიჯებს გადავდგამთ ტურნირის დღეებში, როცა დაისმება საკითხი საერთაშორისო ფედერაციის შექმნის შესახებ და ჩამოყალიბდება შესაბამისი საინიციატივო ჯგუფი. საკითხის წარმატებით გადაწყვეტისათვის საჭიროა ერთი უთუო პირობა — სულ ცოტა ხუთი ქვეყნის მხარდაჭერა.

● რამდენადაც ცნობილია, რობერ ვან დერ ვალე მომავალი ჩემპიონატის ერთადერთი უცხოელი მონაწილე არ იქნება.

— უკვე მივიღეთ განაცხადები იაპონიიდან, ისრაელიდან, თურქეთიდან, ბულგარეთიდან. იმედი გვაქვს, რომ ეს ნუსხა გაგრძელდება. მითუმეტეს, რომ ბელგრადის მსოფლიო ჩემპიონატის წინ მრავალი ქვეყნის წარმომადგენელი დაგვპირდა, ჩვენს სპორტსმენებს გამოგიგზავნითო. სხვათა შორის, თბილისში ჩამოსვლას აპირებენ მსოფლიო ჩემპიონი ინგლისელი ელის მორდონი და 1987 წლის მსოფლიო ჩემპიონი გრიგოლ ვერიჩევი. მოველით, რომ მათ შეუერთდებიან უზბეკეთის, რუსეთის სფსრ, სომხეთის, ლიტვის, თურქმენეთის სპორტსმენები...

● მახპინძელ სპორტსმენთაგან ვის ვიხილავთ ხალიჩაზე?

— ჯერჯერობით მხოლოდ რამდენიმე მათგანს დავასახელებ. ესენი არიან — ოლიმპიური ჩემპიონი დავით გობეჯიშვილი, მსოფლიო ჩემპიონები კობა კურტანიძე და ჯემალ მკედლიშვილი, მსოფლიო პირველობის ვერცხლის პრიზიორი აკაკი კიბორძალიძე. შეგახსენებთ, რომ სპორტსმენები გაითამაშებენ აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულს. პირველ ეტაპზე ისინი გაერთიანდებიან ოთხ წონითს კატეგორიაში — 80, 90, 100 და 100 კილოგრამზე მეტ წონითს კატეგორიებში. სწორედ ამ ჯგუფების ხამარჯვებულები გაითამაშებენ მთავარ პრიზს. სხვათა შორის, არა მარტო ტურნირის პრიზიორებს, არამედ მის ყველა მონაწილეს ელის ფულადი ჯილდოები.

ასპარეზობის მთავარი მსაჯია საბელგანთქმული მოჭიდავე ვახტანგ ბალავაძე. მას დაეხმარებიან ცნობილი ქართველი ფალავნები ქრისტეფორე და აკაკი ნინიაშვილები, სიმონ მაისურაძე, რობინზონ მუსხელიძე, გიორგი ბასიაშვილი, თენგიზ ელერდაშვილი, შოთა ზუკაკიშვილი, შოთა ბარნაბიშვილი და სხვები. მსაჯთა კორპუსისთვის, რომელშიც შესვლა სხვა საზღვარგარეთელ არბიტრებსაც შეეძლებათ, მოეწყობა სემინარი.

მინდა დავძინო, რომ მსოფლიო ჩემპიონატისათვის გამოუშვებენ ლამაზ ბუკლეტს, აგრეთვე ტურნირის სიმბოლოებით დამშვენებულ პლაკატებს, კედლის კალენდრებს, საკალენდრეებს, ჩანთებს, სამკერდე ნიშნებს, ბრელოკებს, ვიმპელებს, მედლებს, სასუვენირო ჩოხებს.

საუბარს უძღვებოდა
შ. ზალოლაშვილი,
საქინფორმის კორ.

დღეს და ხვალ...

თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაიმართება ქართული რაგბის ერთგვარი ფესტივალი, „საშემოდგომო შვიდაკად“ ცნობილი ორდღიანი ტურნირი შვიდაკიან რაგბიში. შეჯიბრებაში მონაწილეობენ თბილისის „ელმავალი“, „მიმინო“, ასკ, უნივერსიტეტი, სპი, სამხატვრო აკადემია, ზოოვეტერინარული ინსტიტუტი, აგრეთვე ჰიათურელი მორაგბეები. თამაშები 12 საათზე დაიწყება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველად ფეხბურთის ოლიმპზე

(დასასრული)

ვფრინავთ ვახტანგი, გიორგი, ირაკლი, არჩილი, ლევანი, ლაშა, ქართოლოსი და... შოთა რუსთაველი".

შოთა რუსთაველისა რა მოგახსენოთ, მაგრამ სასტუმრო „ტაშკენტის" წინამოედანი იმ დღეებში ჩვენს რუსთაველის მოედანს რომ დაემსგავსა, ამაში ეჭვს ნუ შეიტანთ. ირგვლივ ქართული ლაპარაკი ისმოდა, მთელი საქართველო გულისფანცქალით ელოდა 18 ნოემბრის 18 საათს (თბილისის დროით 15 საათს). თუმცა სიზუსტისათვის იმასაც ვიტყვით, რომ თამაში 15 წუთის დაგვიანებით დაიწყო— ერთ „დიდ კაცს" ელოდებოდნენ მოსკოვიდან.

პირველნი მოედანზე, ტრადიციისამებრ, შავფორმიანი ტრიო — მატჩის მსაჯები გამოვიდნენ. რიგელ არბიტრთა ბრიგადა—მიკელის რუბენისი, ჰუგო სტრენგისი და მიხაილ ტატარენკო. გული საგულეს აღარ რჩებოდა. თვალს სამხრეთი ტრიბუნის გვირაბისაკენ ვაპარებდი.

„ვინ გამოუძღვება წინ ცისფერმაისურიანებს?"...

მაინც სად არიან ჩვენები? ვინ გამოუძღვება წინ ცისფერმაისურიანებს?... „ზეინკალა", რა თქმა უნდა, ჯემალ ზეინკლიშვილი თითქოს სულ არ ღელავდა, ისე მოაბიჯებდა, გამოსასვლელიდან, თეთრი ბურთი ორივე ხელით მაგრად ჩაებღუჯა. როგორ არ ღელავდა?! უკან „რეხვო" მოჰყვებოდა — ვახტანგ რეხვიაშვილი, მერე დიდი და პატარა „სეზენები" — ბორის და გიორგი სიჭინავეები, ვლადიმერ ბარქაია, ოდნავ შოშორებით შოთა იამანიძე, სერგო კოტრიკაძე, გურამ ცხოვრებოვი, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი, ილია დათუნაშვილი, კაჩალინიც გამოჩნდა...

... ბურთი თამაშში სლავა მეტრეველმა შეიყვანა და სულ მალე კინაღამ გოლით დააგვირგვინა გარღვევა — ბურთი ოდნავ აცდა კარს. ჯერი ახლა ტორპედოელებზე მიდგა. იმ დღეს მათმა ყველაზე სახიფათო თავდამსხმელმა შჩერბაკოვმა ძლიერად დაარტყა თავით კარში — ბურთი ძელს მოხვდა. ასეთი გააფთრებული იერიშებით, საკმაოდ მაღალ ტემპში დაიწყო ეს „სეზონის მატჩი". აკი, ენამოსწრებულად აღნიშნავდა ყოველკვირეულ „ფუტბოლ-ხოკეიში" სპორტის დამსახურებული ოსტატი ანდრეი სტაროსტინი: „გამუდმებით ვაბრუნებდი თავს ხან აქეთ, ხან იქეთ, როგორც ჩოგბურთელთა შეჯიბრების დროს". ანგარიში კი არა და არ იხსნებოდა, იმ წუთებში ვერავინ დაასახელებდა მომავალ ჩემპიონს. მეორე ტაიმში შჩერბაკოვმა მაინც გაიტანა გოლი — ტორპედოელთა ერთადერთი ბურთი ამ მატჩში. თამაშის დამთავრებამდე 20 წუთიღა რჩებოდა. რამდენჯერმე ვყოფილვართ იმის მოწმენი, როდესაც პირველივე მარცხის შემდეგ ქართველი ფეხბურთელები „ყურებს ჩამოყრიდნენ" ხოლმე ერთბაშად. საბედნიეროდ, ტაშკენტში პირიქით მოხდა. მოულოდნელმა გოლმა თითქოს დამატებითი ძალა შთაბერა ჩვენს ბიჭებს, რაღაც თავისებურ დოპინგად იქცა. ტორპედოელთა კაპიტანმა ივანოვმა დატოვა მოედანი, მის ნაცვლად სიდოროვი შემოვიდა, მაგრამ ამას, ალბათ, არც ჰქონდა არსებითი მნიშვნელობა. თბილისელმა ფეხბურთელებმა ისეთი თავბრუდამხვევი იერიშები წამოიწყეს, ისე მეთოდურად შეუტიეს შაპოვალენკოს კარს, რომ აღარავის აეჭვებდა — საპასუხო გოლი უნდა გასულიყო. ბურთი მართლაც გავიდა, თუმცა ისეთი, არავინ რომ არ ელოდა. დათუნაშვილმა კუთხური ჩამოაწოდა. ჩამოაწოდა კი არა და პირდაპირ „ჩაახვია" — ბურთი არავის შეხებია, ისე აღმოჩნდა მოსკოველთა კარის ბადეში. ეს იყო ულამაზესი გოლი. ა. სტაროსტინმა აღნიშნა, რომ ილია დათუნაშვილი ასეთ გოლს, ალბათ, ვერასდროს ვეღარ გაიტანს". როგორც გინდათ ისე გაიგეთ, მაგრამ ასეთი ლამაზი გოლის გამეორება... მხოლოდ ტელევიზორში თუ შეიძლება!

თბილისელთა უპირატესობა უკვე აშკარა იყო. სტადიონის ტაბლოზე ორი „ერთ-ანი" ეწერა. დაინიშნა დამატებითი 30 წუთი. შეხვედრა

მატჩის აფიშა.

განახლდა. ისევ დათუნაშვილმა ისახელა თავი. ორი წუთიც არ გასულა, რომ ხელსაყრელ მდგომარეობაში მყოფმა ძლიერად დაარტყა კარში. შაპოვალენკო უძლური იყო მოეგერიებინა ბურთი — 2:1. ახლა უკვე ჩვენი გუნდი გავიდა წინ. მიხეილ მესხმა კი პირდაპირ შეიკლა თავისი „ვიზავი" ანდრეიუკი. აი თბილისელი მარცხენა გარემარბი გამოედევნა მოსკოველს, რომელსაც ბურთი ჰქონდა, შეშინებულმა ანდრეიუკმა უხეიროდ მიაწოდა მეკარეს, ბურთი ჩაჭრა მესხმა და... 3:1. წერტილი ამ „ოქროს მატჩს" სლავა მეტრეველმა დაუსვა. მისი თერთმეტმეტრიანი დარტყმა ამჯერადაც ზუსტი იყო — 4:1.

70 ათასი მაყურებელი გულთბილად მიესალმა ახალ ჩემპიონს, ქართველმა გულშემატკივრებმა ტრიბუნებზე ქაღალდის ჩირაღდნები დაანთეს... უზბეკურ ქუდებში გამოწყობილი ქართველი ფეხბურთელები, უზომოდ დაღლილნი და ასევე უზომოდ ბედნიერნი, გაბრწყინებული სახეებით იდგნენ ფეხბურთის ოლიმპზე!

... მეორე დღეს ტაშკენტში მოსკოვიდან მიხაილ იაკუშინი ჩამოფრინდა. გულთბილად მიეულოცეთ ერთმანეთს თბილისის „დინამოს" შესანიშნავი გამარჯვება. ჩვენს ერთობ დელიკატურ რეპლიკაზე — „თბილისის დინამოს" ჩემპიონობას თქვენ ჩაუყარეთ საფუძველი", პატივცემულმა „მიხეიმ" შენიშნა: „ეს, პირველ ყოვლისა, ჩემი ძველი მეგობრისა და თანაგუნდელის გავრილ კაჩალინის წარმატებაა".

... ზეიმობდა თბილისი, ზეიმობდა მთელი საქართველო. პრესაში გამოქვეყნდა ფეხბურთის ცნობილი სპეციალისტების, ტყავის ბურთის უბადლო ოსტატების მილოცვები თბილისის „დინამოს" მისამართით. ხოტბა-დიდებით ამკობდნენ ჩვენს გუნდს უნგრეთის ნაკრების უფროსი მწვრთნელი ლაიოშ ბარატი, საფრანგეთის კლუბის „ვალანსვენის" მწვრთნელი რობერ დუბერგი, უნგრელი ცენტრფორვარდი ფლორიან ალბერტი, ბულგარელი გარემარბი ივან კოლევი, მოვიდა მისალოცი დეპეშა თელ-ავივიდან. მსოფლიოს ჩემპიონ ტიგრან პეტროსიანისგან, თანამემამულეებს მხურვალედ ულოცავდა ჭადრაკის დედოფალი ნონა გაფრინდაშვილი. „ფუტბოლ-ხოკეიმ" მრავალ გულთბილ სტრიქონთან ერთად ცნობილი მოსკოველი მხატვრის იგორ მასინას (იგი წარმოშობით თბილისელი გახლდათ) მეგობრული შარჟიც მოათავსა: ზეიმობს, ცეკვავს მთელი თბილის-ქალაქი, შოთა რუსთაველიც „გახარებული ტოკავს" თავის კვარცხლბეკზე. მაგრამ, წარმოიდგინეთ, იმ სასიხარულო დღეებშიც ვინმე ვ. ემელიანოვმა „გაზეთ „მოსკოვსკი კომსომოლეცში" ღვარძლიანი წერილი დაბეჭდა სათაურით „ქართული ფეხბურთის „ოქროს დღე". იაფფასიანი, და მართლაც ბოროტ ტექსტი იწყებოდა სიტყვებით: „აუცილებლად იქნება პერსპექტივაში სადღეგრძელოები, შებრაწული მწვადები, გამარჯვებულთა ცეკვა-თამაში. რა-რა და ზეიმები მტკვრის ნაპირზე კარგად ეხერხებათ!" შემდეგ ავტორი წერდა, რომ ზეიმი საქართველოში ისეთივე ბრწყინვალეებით და ენთუზიაზმით ჩაივლის, როგორც ეს პელესა და გარინჩას თანამემამულეებმა გააკეთეს. აქვეა აშკარა ცილისმწამებლური „ფაქტიც"—თურმე ვ. ბარქაიას „დაუმტვრევია" იმ დღეს „მოსკოველთა იმედი ივანოვი". მართლაც დიდი ფანტაზია ჰქონია ავტორს! და ბოლოს ვკითხულობთ: „ჩემპიონი გახდა გუნდი, რომელმაც უკეთ ითამაშა მხოლოდ ერთ მატჩში — 18 ნოემბერს". რკინისებური „ლოგიკაა", არა? თბილისს „დინამომ" იმ სეზონში ორჯერ დაამარცხა მოსკოვის „ტორპედო" — მეორე წრეში 3:1, დამატებით მატჩში 4:1, ხოლო პირველ წრეში ფრედ (1:1) ითამაშა.

აი, სწორედ ასეთ პატარ-პატარა „კბენანიდან" მოდის დღევანდლამდე ზოგიერთი ვაი-ჟურნალისტიდან ის დაუფარავი, ღვარძლიანი გამოდომები ქართველი ხალხისადმი, რასაც მავანნი, ჩვენთან მარად „ძმადნაფიცობას" რომ იჩემებენ! აქვე დავძენთ, „ფუტბოლ-ხოკეიმ", რომელსაც იმ ხანად ბრწყინვალე ჟურნალისტი და მეტად ობიექტური პიროვნება მარტინ მერჟანოვი რედაქტორობდა, საკადრისი პასუხი გასცა პასკვილიანტ გაზეთს და პირადად ცილისმწამებელს თავისი ბასრი რეპლიკით „უტაქტობა".

შეხვედრის ფრაგმენტები.

პირველი გოლი მოსკოველთა კარში.

... 1964 წლის 1 დეკემბერი. თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა ბრწყინვალე გამარჯვებისადმი მიძღვნილი საზეიმო სალამო პირთამდე სავსე თბილისის სპორტის სასახლეში. გამარჯვებულებს მხურვალედ მეესალმნენ კოსმონავტი გერმან ტიტოვი (აქვეა მისი კოლეგაც ვალერი ბიკოვსკი), დიდოსტატი მიხაილ ტალი, აკადემიკოსი ვიქტორ კუპრაძე, ძველი დინამოელები ბორის პაიჭაძე, გაიოზ ჯეჯელავა, ალექსანდრ დოროხოვი, მიხაილ მინავი, მიხეილ ბერძენიშვილი, გრიგოლ გაგუა, ვიქტორ პანიუკოვი, სერგო შუდრა, არჩილ კიკნაძე, ვიქტორ ბერეზნოი, ასლან ხარბედია. საღამო, რომელიც „ტაშკენტელ კომენტატორებს" ეროსი მანჯგალაძესა და კოტე მახარაძეს მიჰყავდათ, გვიან ღამემდე გაგრძელდა.

მეორე დღეს ახალმა ჩემპიონებმა, თბილისის „დინამოს" პირველი კაპიტნის, სპორტის დამსახურებული ოსტატის შოთა შავგულიძის საფლავი მოინახულეს და ცოცხალი ყვავილებით შეამკეს იგი. „ჩვენს გამარჯვებაში თქვენი წვლილიც არის, დაუვიწყარო შოთა!" — სიხარულის ცრემლები მოადგა თვალთ „ოქროს" კაპიტანს, სპორტის დამსახურებულ ოსტატ შოთა იამანიძეს.

რამდენი წელი გასულა — მთელი მეოთხედი საუკუნე...

ოთარ ნოზაძე.

სსრ კავშირის თასზე

ბაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო თასის მერვედფინალური ეტაპის რამდენიმე საპასუხო შეხვედრა.

საკავშირო თასის მერვედფინალის პრაქტიკაში მოხდა უპრეცედენტო ამბავი: მოსკოვის „ტორპედოსა" და ოდესის „ჩერნომორეცის" შეხვედრა არ შედგა იმის გამო, რომ ოდესელი ფეხბურთელები მოსკოვში... არ ჩამოვიდნენ. და ეს მოხდა იმ ვითარებაში, როცა „ჩერნომორეცმა" 12 ნოემბერს ოდესაში პირველი მატჩი მოიგო ანგარიშით 1:0.

გათამაშების დებულების შესაბამისად საპასუხო შეხვედრაში გამოუცხადებლობისათვის „ჩერნომორეცს" წაგება ჩაეთვალა ანგარიშით 0:3, ერევნელმა არბიტრმა ა. ბალიანმა ეს შედეგი აღნიშნა მატჩის ოქმში.

საკითხავია, რატომ არ გამოცხადდა უმაღლესი ლიგის გუნდი საკავშირო თასის ოფიციალურ მერვედფინალურ მატჩში? პასუხი მხოლოდ ისაა, რომ ოდესის „ჩერნომორეცი" 14 ნოემბერს გაემგზავრა მაროკოში საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად... მოსკოვის „ტორპედო" გაეიდა თასის მეოთხედფინალში, მისი მეტოქე იქნება ვილნიუსის „ულგირისისა" და მოსკოვის „ლოკომოტივის" წყვილში გამარჯვებული.

შედგა სხვა შეხვედრები: ცსკა — „როტორი" (ვოლგოგრადი) 2:0, ამ გუნდების პირველი თამაში დამთავრდა „როტორის" გამარჯვებით — 3:2. ხარკოვის „მეტალისტმა" თავის მინდორზე ანგარიშით 0:2 წააგო ტაშკენტის „ფახთაქორთან", პირველი შეხვედრა კი მოგებული ჰქონდა ანგარიშით 3:0. კუიბიშევის „კრილია სოვეტოვისა" და დონეცკის „შახტიორის" შეხვედრა დამთავრდა კუიბიშეველ ფეხბურთელთა გამარჯვებით — 1:0, პირველი მატჩის შედეგია 0:0.

ამრიგად, მეოთხედფინალში გავიდნენ მოსკოვის „ტორპედო", ცსკა, ხარკოვის „მეტალისტი" და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი".

ჯიუ-ჯიცუ თბილისელებისათვის

უჩვეულო სანახაობის მოწმენი გახდნენ თბილისელები, რომლებიც ბავშვთა კალათბურთის სასახლეს ესტუმრნენ გასულ შაბათს. მათ თავიანთი ხელოვნება უჩვენეს აღმოსავლურ ორთაბრძოლათა ერთერთი ეგზოტიკური სახეობის ჯიუ-ჯიცუს პოლონელმა მოყვარულებმა. პოლონელმა სტუმრებმა, რომლებსაც ხელმძღვანელობდა ინსტრუქტორი იოზეფ ლესნიკი (ჯიუ-ჯიცუს საერთაშორისო ფედერაციის პირველი დანი), კვირაზე მეტ ხანს დაჰყვეს თბილისში და, აღმოსავლურ ორთაბრძოლათა ქართველ მოყვარულებთან ერთად რამდენიმე ვარჯიში ჩაატარეს. ჩვენი სტუმრები ე. წ. გოშინ ჯი ცუს მიმდევრები არიან. მათი უშუალო ცენტრი გახლავთ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, სადაც ევროპული ფედერაციის შტაბ-ბინაა მოთავსებული და რომელსაც ხელმძღვანელობს ოსტატი ლ. შმიდტი (მეექვსე დანი). მიუხედავად ზოგიერთი ორგანიზაციული ნაკლისა, რომელიც საჩვენებელ გამოსვლას ახლდა თან (ცუდად შერჩეული დრო — დილის 10 საათი, რეკლამის უქონლობა და სხვა), სანახაობამ სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა: იყო ეფექტური ილეთები, გდებები, ვარდნები, ბრძოლა შეიარაღებულ მოწინააღმდეგესთან და სხვ.

პოლონელ სპორტსმენებთან კონტაქტი ამით არ მთავრდება. ქართულ. და აღმოსავლურ ორთაბრძოლათა ასოციაცია გახსნის ჯიუ-ჯიცუს ჯგუფებს, რომლებზეც შეფობას ჩვენი სტუმრები იკისრებენ. წინასწარი შეთანხმება უკვე მიღწეულია. ქართველ ახალგაზრდობას კარგი საშუალება ექნება ხელჩართული ბრძოლის ამ სახეობის დასაუფლებლად.

ИТАЛИА-90

მსოფლიო ჩემპიონატი

გასულ ოთხშაბათს ევროპის სტადიონებზე გაიმართა 1990 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრები, კონტინენტზე გამოვლინდა XIV ჩემპიონატის ყველა მონაწილე.

I ჯგუფი

რუმინელმა ფეხბურთელებმა ბუქარესტში მიიღეს დანიის გუნდი. მასპინძელთათვის ამ მატჩში საჭირო იყო მხოლოდ გამარჯვება, მაგრამ თამაში იმით დაიწყო, რომ მე-6 წუთზე დანიელმა ფეხბურთელმა პოვლსონმა გუნდის კონტრშეტევისას გახსნა ანგარიში. რუმინელები მალე მოეგენ გონს, შუა ტაიმში ბალინტმა გაქვითა გოლი, შემდეგ სამბზეუს მეორე ბურთი გაიტანა, მერე კი იმავე ბალინტმა საბოლოო წერტილი დაუსვა შეხვედრის ანგარიშს — 3:1.

თამაში მიმდინარეობდა უკიდურესად დაძაბულ ვითარებაში, ორივე გუნდის ფეხბურთელები უხეშობდნენ, იტალიელი არბიტრი ლ. ლანეზე იძულებული იყო ხუთი მოთამაშისთვის ეჩვენებინა ყვითელი ბარათი, ხოლო რუმინელთა თავდასმის საუკეთესო მოთამაშე ხაჯი მინდვრიდანაც გაძევა.

ამავე ჯგუფში ბერძენმა ფეხბურთელებმა მიიღეს ბულგარეთის გუნდი და დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0. გოლი 49-ე წუთზე გაიტანა ნიოპლიასმა.

გათამაშების საბოლოო ცხრილი:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
რუმინეთი	6	4	1	1	10-5	9
დანია	6	3	2	1	15-6	8
საბერძნეთი	6	1	2	3	3-15	4
ბულგარეთი	6	1	1	4	6-8	3

II ჯგუფი

ალბანეთისა და პოლონეთის გუნდების შეხვედრის შედეგს ჯგუფში პრაქტიკული ცვლილებს შეტანა არ შეეძლო, ალბანელებმა ტირანაში ანგარიშით 1:2 წააგეს პოლონეთის ნაკრებთან.

შვეიცარია	6	4	2	0	9-3	10
ინგლისი	6	3	3	0	10-0	9
პოლონეთი	6	2	1	3	4-8	5
ალბანეთი	6	0	0	6	3-15	0

III ჯგუფი

საბჭოთა ფეხბურთელებს მთელი გათამაშების შანძილზე უცილო უპირატესობა ჰქონდათ მეტოქეებთან, ფინალში მათი გასვლის საკითხიც თითქოს ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ გდრ-ის და ავსტრიის გუნდებთან სუსტად ჩატარებული შეხვედრების შემდეგ, ჩვენი გუნდი თურქეთის ნაკრებთან მატჩში ქულის აღების აუცილებლობის წინაშე აღმოჩნდა, რათა პირველი ადგილი დაეკავებინა ჯგუფში. საბჭოთა ნაკრებმა ეს ამოცანა წარმატებით შეასრულა. სიმფეროპოლის სტადიონზე ანგარიშით 2:0 დაამარცხა თურქეთის გუნდი და ფინალის საგზურიც გაინაღდა. ამ დაძაბულ შეხვედრაში ორივე ბურთი პროტასოვმა გაიტანა 68-ე და 79-ე წუთებზე.

საბჭოთა ნაკრებმა აქტიურად ჩაატარა თამაშის მეორე ნახევარი და წარმატებასაც მაშინ მიაღწია, მაგრამ თამაშის ის დონე, რომელიც სიმფეროპოლის სტადიონზე გამოავლინეს საბჭოთა ფეხბურთელებმა, ჩვენი აზრით, აშკარად არასაკმარისია მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე საასპარეზოდ, სადაც ჩვენი მეტოქეები იქნებიან არა თურქი ფეხბურთელები, არამედ იტალიის, არგენტინის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ბრაზილიის, ესპანეთის, ინგლისის, ჰოლანდიისა და სხვა უძლიერესი გუნდები. ცხადია, 1990 წლის ზაფხულისთვის, როცა იტალიაში გაიმართება ჩემპიონატის ფინალური ტურნირი, საბჭოთა გუნდი გაცილებით უფრო მობილიზებული, შეთამაშებული და აქტიური უნდა წარსდგეს.

თურქებთან შეხვედრაში საბჭოთა გუნდმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: დასაევი, ლუჟნი (რაც, 84 წ.), ხიდიატულინი, ზიგმანტოვიჩი, გორლუკოვიჩი, იარემჩუკი, მიხაილიჩენკო, ლიტოვჩენკო, ზავაროვი, პროტასოვი, დობროვოლსკი (ჩერენკოვი, 84).

აღსანიშნავია, რომ ამ მატჩში გაფრთხილებები დაიმსახურეს გორლუკოვიჩმა და ლუჟნმ, თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ ჩვენს გუნდს ამჟამად სწორედ ამგვარი გაფრთხილებების გამო აკლდათ წამყვანი ფეხბურთელები ო. კუზნეცოვი და ბესონოვი, რომლებსაც დისკვალიფიკაცია ჰქონდათ, მდგომარეობა საგანგაშოა. საერთოდ, საბჭოთა ფეხბურთელებს ყოვლად გაუმართლებელ და მავნე „ტრადიციად“ დაჰყვათ საპასუხისმგებლო მატჩებში, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე, ევროპის საკლუბო ტურნირებში გაფრთხილებები და მინდვრიდან გაძევებები. საფეხბურთო მინდორზე ხულიგნობას კარგი არავისთვის მოუტანია...

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თურქი ფეხბურთელები საგანგებოდ იყვნენ განწყობილნი ამ მატჩში, წარმატების შემთხვევაში ისინი ფინალის საგზურს ინაღდებდნენ. გუნდთან ახლდა გულშემატკივართა დიდი ჯგუფი, რომელიც დიდ მხარდაჭერას უწევდა თავის ფეხბურთელებს (თურქი ფეხბურთელები მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში უკანასკნელად გამოდიოდნენ დიდი ხნის წინ, 1954 წელს), ამ ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა თავის ფეხბურთელებს აღუთქვა, რომ თუ ისინი ფინალის საგზურს მოიპოვებდნენ, თითოეული მათგანი მიიღებდა 300.000 დოლარს და კეთილმოწყობილ ბინას. გარდა ამისა, თურქეთის ხელისუფლებამ საბაჟო გადასახადიდან გაათავისუფლა ის გულშემატკივრები, რომლებიც სიმფეროპოლში წაყვნენ გუნდს, ეს კი ყოველ მათგანისთვის 100 დოლარი ეკონომიაა. მაგრამ თურქეთის ნაკრებმა ასეთ მაცდუნებელ ვითარებაშიც კი ვერ შეძლო წარმატების მოპოვება, გუნდი მხოლოდ მესამე ადგილზე გავიდა შესარჩევ ჯგუფში.

სიმფეროპოლის მატჩის პარალელურად ვენაში მიმდინარეობდა ავსტრიისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ფეხბურთელთა შეხვედრა, აქაც უნდა გამოვლენილიყო ფინალის ერთ-ერთი მონაწილე. ავსტრიელებმა დიდი უპირატესობით ჩაატარეს მატჩი, ანგარიშით 3:0 დაამარცხეს მეტოქე და ფინალის საგზური დაისაკუთრეს. ავსტრიელთა რიგებში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი თავდამსხმელმა პოლსტერმა, სამივე გატანილი გოლი მისი „ნახელავია“.

სსრ კავშირი	8	4	3	1	11-4	11
ავსტრია	8	3	3	2	9-9	9
თურქეთი	8	3	1	4	12-10	7
გდრ	8	3	1	4	9-13	7
ისლანდია	8	1	4	3	6-11	6

გთავაზობთ შესარჩევ ჯგუფში ჩატარებული ყველა შეხვედრის შედეგს.

1988 წელი

31.VIII ისლანდია — სსრ კავშირი 1:1
12.X. თურქეთი — ისლანდია 1:1
19.X. გდრ — ისლანდია 2:0
19.X. სსრ კავშირი — ავსტრია 2:0
2.XI. ავსტრია — თურქეთი 3:2
30.XI. თურქეთი — გდრ 3:1

1989 წელი

12.IV. გდრ — თურქეთი 0:2
26.IV. სსრ ავშირი — გდრ 3:0
10.V. თურქეთი — სსრ კავშირი 0:1
17.V. გდრ — ავსტრია 1:1
31.V. სსრ კავშირი — ისლანდია 1:1
14.VI. ისლანდია — ავსტრია 0:0
23.VIII. ავსტრია — ისლანდია 2:1.
6.IX. ავსტრია — სსრ კავშირი 0:0
6.IX. ისლანდია — გდრ 0:3
20.IX. ისლანდია — თურქეთი 2:1
7.X. გდრ — სსრ კავშირი 2:1
25.X. თურქეთი — ავსტრია 3:0
15.XI. სსრ კავშირი — თურქეთი 2:0
15.XI. ავსტრია — გდრ 3:0.

IV ჯგუფი

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებს მხოლოდ გამარჯვება ესაჭიროებოდა უელსის გუნდთან შეხვედრაში საკუთარ მინდორზე, კიოლნში. მასპინძლებს დიდი სიძნელეების გადალახვა დასჭირდათ, ვინაიდან ანგარიში უელსელმა ალენმა გახსნა მე-11 წუთზე. შემდეგ ფიოლერმა თანაფარდობა აღადგინა, ჰასლერმა მეორე ბურთიც გაიტანა და გფრ-ის ნაკრებმა გაიმარჯვა ანგარიშით 2:1, თუმცა მას მეტიც შეეძლო, მაგრამ ლიტბარსკიმ 77-ე წუთზე ვერ გამოიყენა პენალტი.

ჯგუფის გამარჯვებულმა ჰოლანდიის ნაკრებმა თავის მინდორზე მიიღო ფინეთის გუნდი და გაიმარჯვა ანგარიშით 3:0. გოლები გაიტანეს ბოსმანმა, ე. კუმანმა და რ. კუმანმა.

ჰოლანდია	6	4	2	0	8-2	10
გფრ	6	3	3	0	13-3	9
ფინეთი	6	1	1	4	4-16	3
უელსი	6	0	2	4	4-8	2

V ჯგუფი

გლაზგოში ფრედ ითამაშეს შოტლანდიისა და ნორვეგიის გუნდებმა — 1:1. პირველი ბურთი გაიტანა შოტლანდიელმა მაკოისტმა, მსაჯის საფინალო სასტვენამდე რამდენიმე წამით ადრე კი ნორვეგიელთა მცველმა იოხსონმა შორი მანძილიდან დარტყმით აღადგინა თანაფარდობა.

იუგოსლავია	8	6	2	0	16-6	14
შოტლანდია	8	4	2	2	12-12	10
საფრანგეთი	7	2	3	2	8-7	7
ნორვეგია	8	2	2	4	10-9	6
კიპროსი	7	0	1	6	6-18	1

VI ჯგუფი

ესპანეთის ფეხბურთელებმა სევილიაში მიიღეს უნგრეთის გუნდი და საკმაოდ იოლ გამარჯვებას მიაღწიეს — 4:0. ბურთები გაიტანეს მანოლომ, ბუტრაგენიომ, ხუანიტომ და ფერნანდომ.

ირლანდიის ნაკრებმა მალტაში ანგარიშით 2:0 დაამარცხა ადგილობრივი გუნდი, ორივე ბურთი ოლდრიჯმა გაიტანა.

ესპანეთი	8	6	1	1	20-3	13
ირლანდია	8	5	2	1	10-2	12
უნგრეთი	8	2	4	2	8-12	8
ჩრ. ირლანდია	8	2	1	5	6-12	5
მალტა	8	0	2	6	3-18	2

VII ჯგუფი

ლისაბონში ერთმანეთს შეხვდნენ პორტუგალიისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები. პორტუგალიელებს 4 ბურთის უპირატესობით უნდა გაეგმარჯვათ, რომ ფინალის საგზური მოეპოვებინათ, მაგრამ მათ მხოლოდ ფრეს მიაღწიეს — 0:0 და ფინალში ჩეხოსლოვაკიელები გავიდნენ. შვეიცარიისა და ლუქსემბურგის გუნდების შეხვედრა დამთავრდა შვეიცარიელთა გამარჯვებით — 2:1.

ბელგია	8	4	4	0	15-5	12
ჩეხოსლოვაკია	8	5	2	1	13-3	12
პორტუგალია	8	4	2	2	11-8	10
შვეიცარია	8	2	1	5	10-14	5
ლუქსემბურგი	8	0	1	7	3-22	1

გამოვლინდა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური თამაშების 21 მონაწილე 24-დან: იტალია, არგენტინა, კოსტა-რიკა, იუგოსლავია, ინგლისი, შვეიცია, ბელგია, ბრაზილია, ურუგვაი, სამხრეთ კორეა, არაბეთის გაერთიანებული ემირატები, ესპანეთი, კოლუმბია, სსრ კავშირი, ავსტრია, რუმინეთი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ჰოლანდია, ჩეხოსლოვაკია, ირლანდია, შოტლანდია. ვაკანტურია კიდევ 3 ადგილი, ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურებისთვის იბრძვიან ამერიკის შეერთებული შტატებისა და ტრინიდადისა და ტობაგოს, აგრეთვე, ეგვიპტე—ალჟირისა და ტუნის—კამერუნის წყვილებში გამარჯვებული გუნდები.

როგორც ოფიციალურად გამოცხადდა, 9 დეკემბერს რომის სპორტის სასახლეში შედგება 1990 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის წილისყრა. 24 ფინალისტი განაწილდება 6 წინასწარ ჯგუფად.

ეროვნული ნაკრები — ნუსაბაზე

ბრძოლა ბოლო წუთამდე, მსაჯის საფინალო სასტვენამდე პროფესიული კალათბურთის დაუწერელი კანონია. სწორედ უმაღლესი ოსტატობა და ბრძოლის აზარტი უდევს საფუძვლად პროფესიონალთა ყოველ მატჩს და განსაზღვრავს მისი სიუჟეტის სიმძაფრეს.

აი ზოგი მაგალითი ნბა-ს ჩემპიონატის შეხვედრებიდან, რომლებიც გასულ ორშაბათს და ოთხშაბათს ჩატარდა. „ფენიქს სანსმა“ თავისი მეტოქე „პორტლენდ ტრეილ ბლეიზერზი“ ფაქტიურად მატჩის დამთავრებამდე 7 წამით ადრე დაამარცხა 109:107. გადამწყვეტი ბურთი მეტოქის კალათში ედი ჯონსონმა მოათავსა. არა და მეოთხე ტაიმში პორტლენდი დაწინაურებული იყო 11 ქულით — 93:82.

მანამდე კი „პორტლენდმა“ „ნიუ-იორკ ნიკერბოკერზს“ ერთი ქულით აჯობა — 118:117. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ორშაბათ-ოთხშაბათს გამართული 19 მატჩიდან შვიდი 1-2 ქულის სხვაობით დამთავრდა.

პროფესიულ კალათბურთში მაღალი ოსტატობა ძვირად ფასობს. ლარი ბიორდის, მაჯიკ ჯონსონის, მაიკლ ჯორდანისა და სხვა „სუპერსპორტსმენების“ პოპულარობა ხშირად აღემატება პოლიტიკური მოღვაწეებისა და კინოვარსკვლავების პოპულარობას.

ნბა-ს დიდ შემოსავალს აძლევს ტელევიზია. ამას წინათ კალათბურთის პროფესიულმა ლიგამ და ტელეკომპანიამ სი-ბი-ესმა ხელი მოაწერეს კონტრაქტს 600 მილიონ დოლარზე, ეს თანხა კარგად გამოხატავს კალათბურთისადმი მზარდ ინტერესს. შეგახსენებთ, რომ წინა კონტრაქტის ოდენობა მხოლოდ 173 მილიონ დოლარს შეადგენდა. თანაც სი-ბი-ესმა მიიღო არა ყველა შეხვედრის ტელეტრანსლაციის უფლება, არამედ მხოლოდ ოცი მატჩისა. ნბა-სა და კალათბურთელთა ასოციაციის გადაწყვეტილებით ამ 600 მილიონი დოლარის 53 პროცენტი კალათბურთელთა ხელფასს მოხმარდება. ამასთან ყოველი გუნდის ბიუჯეტი 11,5 მილიონ დოლარამდე გაიზრდება.

კიდევ ერთი მსხვერპლი

მსოფლიოს გარშემო აფროსანთა რეგატის „უოტბრედ“ — 89-ის მონაწილეებმა კიდევ ერთი, მძიმე დანაკლისი განიცადეს. რბოლის შტაბ-ბინიდან მოვიდა ცნობა იმის შესახებ, რომ ორშაბათს „კროიტონს ნეჩურელის“ ეკიპაჟის ორი წევრი ოკეანის ტალღამ წყალში გადაისროლა. ესენი იყვნენ ინგლისელი ენტონი ფილიპსი და ბელგიელი ბარტვან დენ დვეი.

ისინი მხოლოდ ნახევარი საათის შემდეგ იპოვნეს და წყლიდან ამოიყვანეს. დვეი ცოცხალი იყო, 36 წლის ფილიპსი კი გარდაიცვალა. როგორც ცნობილია, ურუგვაის პორტ პუნტა დელ ესტში თავი ჩამოიხრჩო საბჭოთა ხომალდის „ფაზისის“ კაპიტანმა ალექსეი გრიშჩენკომ, შვედი იან გუსტავსონი კი მოტოკატასტროფის შედეგად დაიღუპა.

ბიზეს „კარმენი“ ყინულზე

ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონს ფიგურულ ციგურაობაში კატარინა ვიტს, სულ მალე გადაიღებენ მუსიკალურ ფილმში „კარმენი ყინულზე“. გადაღებები დაიწყება 1990 წლის იანვარში და გასტანს დეკემბრამდე იმ ანგარიშით, რომ მომდევნო წლის მარტს შესდგეს მისი პრემიერა.

ფილმი თავისი შემადგენლობით ინტერნაციონალურია. ხოზეს როლს შეასრულებს კანადელი ბრაიან ბოიტანო, ესკამლიოს პარტიას კი მისი თანამემამულე ბრაიან ორსერი. მუსიკას ვენის ფილარმონიის ორკესტრი, კოსტუმებს კი ბერლინის „ფრიდრიჰშტადტპალასტის“ სახელოსნოებში დაამზადებენ.

რედაქტორის მოადგილე
უ. ჟიჟინაძე

საერთაშორისო ტურნირზე

ყირიმში მიმდინარეობს საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში „ხალხთა მეგობრობა“, რომელშიც მონაწილეობენ სხვადასხვა ქვეყნის პროფესიონალური გუნდები, მათ შორის საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტის კოლექტივი.

საქართველოს ფეხბურთელებმა წარმატებით დაიწყეს შეჯიბრება, თანმიმდევრულად დაამარცხეს უკრაინის (2:0), მოლდავეთის (3:0), უზბეკეთის (3:1) გუნდები და გათამაშების ნახევარფინალურ ეტაპზე გავიდა.

ხულიგანთა შიშით...

მსოფლიოს მომავალი საფეხბურთო ჩემპიონატის ორგანიზატორებმა შეუპოვარი ბრძოლა გამოუცხადეს ფეხბურთის ხულიგნებს. კერძოდ, საორგანიზაციო კომიტეტმა რამდენიმე ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართა თხოვნით, რათა იტალიაში ჩასვლის საშუალება აღუკვეთონ მათ, ვინც შეიძლება ჩრდილი მიაყენოს ამ შესანიშნავ საფეხბურთო ზეიმს.

ორგანიზატორები განსაკუთრებით უფრთხიან ინგლისელ და ჰოლანდიელ ტურისტებს. იტალიის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელმა ანტონიო მატარესმა გაანაცხადა, რომ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის გენერალური მდივნის იოზეფ ბლატერის მეშვეობით საგანგებოდ შეეცდება მკაცრ აკრძალავ ზომებს მიმართოს ამ ორი ქვეყნის გულშემატკივართა მიმართ.

ევროპის საუკეთესო მფვრთნელი

როგორც ზაგრების „სპორტსკე ნოვოსტი“ აღნიშნავს, 1989 წელს ევროპის საუკეთესო მფვრთნელად დაასახელეს სპლიტის „იუგოპლასტიკას“ ხელმძღვანელი ბოკედარ მალიაკოვიჩი. მისი წარმატება სავსებით კანონზომიერია. 1989 წელს „იუგოპლასტიკამ“ პირველად თავისი არსებობის შანძილზე მოიპოვა ჩემპიონთა თასი, ზედიზედ მეორედ დაეუფლა იუგოსლავიის ჩემპიონის ტიტულს და გავიდა იუგოსლავიის თასის გათამაშების ფინალში.

„სპორტპროგნოზი“, 48-ე ტირაჟის პროგრამა (24-26 ნოემბერი)

		პროგნოზი		
სსრ კავშირის ჩემპიონატი შაიბიან ჰოკეიში (უმაღლესი ლიგა)				
1. ცსკა — „კრილია სოვეტოვი“ (მოსკოვი)	24.XI	50	30	20
2. „დინამო“ (მინსკი) — „ტორპედო“ (უსტ-კამენოგორსკი)	24.XI	60	30	10
3. „ტორპედო“ (გორკი) — „ავტომობილისტი“ (სვერდლოვსკი)	24.XI	50	30	20
4. ურიცკის სახ. სკ (ყაზანი) — „ტრაქტორი“ (ჩელიაბინსკი)	24.XI	50	30	20
5. „სპარტაკი“ (მოსკოვი)— „დინამო“ (მოსკოვი)	25.XI	30	20	50
6. „დინამო“ (ხარკოვი) — „სოკოლი“ (კიევი)	25.XI	10	30	60
7. სკ (ლენინგრადი) — „ხიმიკი“ (ვოსკრესენსკი)	25.XI	10	10	80
8. „დინამო“ (რიგა) — „ტორპედო“ (იაროსლავლი)	25.XI	50	40	10
სსრ კავშირის ჩემპიონატი გუნთიან ჰოკეიში (უმაღლესი ლიგა)				
9. სკ (ხაბაროვსკი) — „ზორკი“ (კრასნოგორსკი)	25.XI	70	20	10
10. „ენისეი“ (კრასნოიარსკი) — „დინამო“ (მოსკოვი)	25.XI	80	10	10
11. „კუზბასი“ (კემეროვო) — „ვოლგა“ (ულიანოვსკი)	25.XI	40	50	10
იტალიის ჩემპიონატი ფეხბურთში				
12. „ატალანტა“ (ბერგამო) — „ინტერი“ (მილანი)	26.XI	20	50	30
13. „იუვენტუსი“ (ტურინი) — „ნაპოლი“ (ნეაპოლი)	26.XI	50	40	10

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10 581